„საქართველოს კაპიტალის“ მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	54416
ბიზნეს სექტორი:	წარმოება და მომსახურება
გამოქვეყნების ტიპი:	კერძო
გარემოსდაცვითი კატეგორია:	B
დამტკიცების თარიღი	2023 წლის 28 ივნისი
სტატუსი:	ხელმოწერილი საბჭოს მიერ
PSD-ს გამოქვეყნება:	2023 წლის 10 აგვისტო

პროექტის აღწერა

$25 მილიონის ოდენობის ინვესტიცია სს „საქართველოს კაპიტალის“ (GCAP) ან „ემიტენტის“ $150 მილიონის ღირებულების მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების (SLB) გამოცემაში, რომლებიც შემდგომ განთავსდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ.

SLB შეესაბამება კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის ("ICMA") მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების პრინციპებს, რაც დასტურდება დამოუკიდებელი მეორე მხარის დასკვნით.

პროექტის მიზნები

მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციებიდან (SLB) მიღებული შემოსავალი ძირითადად მოხმარდება სს საქართველოს კაპიტალის (GCAP) ევრო ობლიგაციების რეფინანსირებასა და ლიკვიდობის ბუფერის შენარჩუნებას.

SLB, რომელიც შეესაბამება მდგრადი ფინანსების ICMA სტანდარტებს, არის

ამ ტიპის პირველი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიცა კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ SLB ყველაზე მსხვილი კორპორაციული ემისიაა საქართველოში.

შუალედური შედეგი

ETI 69

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი განპირობებულია მდგრადი და მწვანე თვისებებით. მდგრადი თვისების ფარგლებში, პროექტი ხელს შეუწყობს კაპიტალის ახალი ადგილობრივი ბაზრების განვითარებას საქართველოს საფონდო ბირჟის მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდითა და ახალი ფინანსური ინსტრუმენტის დანერგვით, რომელიც EBRD-ს ქვეყნებში იშვიათად გამოიყენება.

გარდა ამისა, მწვანე თვისების ფარგლებში ეს ახალი, მწვანე კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტი აძლიერებს „საქართველოს კაპიტალის“ (GCAP) მზაობას და უნარს განახორციელოს თავისი დეკარბონიზაციის სტრატეგია, რაც მიზნად ისახავს GCAP-ის საკუთარი და პორტფელში შემავალი კომპანიების ემისიების 20%-ით შემცირებას 2027 წლის ბოლოსთვის, 2022 წელთან შედარებით.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

სს „საქართველოს კაპიტალი“ (GEORGIA CAPITAL JSC)

სს საქართველოს კაპიტალი ("GCAP" ან "ემიტენტი") არის დივერსიფიცირებული ბიზნესების ჯგუფით წარმოდგენილი ჰოლდინგი, რომელიც ოპერირებს ფარმაცევტულ (საცალო ვაჭრობა) და ჯანდაცვის, სადაზღვევო, განახლებადი ენერგიის, კომუნალური მომსახურების და სხვა სექტორებში.

ემიტენტის 100% ეკუთვნის საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას (PLC) „საქართველოს კაპიტალი“, რომლის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LSE) იყიდება.

პროექტის მთლიანი ღირებულება

50,000,000.00 აშშ დოლარი

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შეჯამება

B კატეგორია (2019 წლის შეფასებით) დაბალი და საშუალო რისკის დონით.

კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციების წესების გათვალისწინებით, ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების სათანადო შემოწმება (ESDD) ეფუძნება 2022 წლის კორპორაციული მდგრადობის შესახებ ანგარიშის (2023 წლის მარტი) და მეორე მხარის (SPO) მიერ მოპოვებული საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიმოხილვას „საქართველოს კაპიტალის“ (GCAP) შემოთავაზებული მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების (SLB) სისტემის შესახებ, ისევე როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური (ES) ასპექტების შესახებ ბანკის წლიურ ანგარიშს (2022 წლის აგვისტო) „საქართველოს კაპიტალის“ (GCAP) წინა პროექტთან დაკავშირებით.

აღნიშნულმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ „საქართველოს კაპიტალი“ (GCAP) შეესაბამება მოქმედ კანონებს და ასევე თანხვედრაშია EBRD-ის შესრულების მოთხოვნებთან (PR). GCAP-ს აქვს გარემოსდაცვითი და სოციალური (ES) რისკების მართვის ადეკვატური შესაძლებლობები, რათა განახორციელოს პროექტი შესრულების მოთხოვნების (PR) შესაბამისად, SLB სტრუქტურის მესამე მხარის მიერ შემოწმების და მისი საჯაროდ ხელმისაწვდომი მდგრადობის შესახებ ანგარიშგების საფუძველზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ პროექტთან მიმართებაში, GCAP-ს მოეთხოვება შეინარჩუნოს PR-თან შესაბამისობა და წარუდგინოს EBRD-ს წლიური ES ანგარიში. ჩარჩო ხელშეკრულება მოიცავს აღნიშნულ მოთხოვნებს.

უფრო კონკრეტულად, გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების სათანადო შემოწმებამ ESDD-მ აჩვენა, რომ „საქართველოს კაპიტალმა“ (GCAP) შესაბამისობაში მოიყვანა თავისი ბიზნეს ოპერაციები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) და 2022 წელს დააწესა ES რისკების მართვის ყოვლისმომცველი პროცედურები. GCAP-მ საჯაროდ აიღო ვალდებულება 2050 წლისთვის მიაღწიოს წმინდა ნულოვან ემისიას (Net Zero). GCAP-ის პორტფელში შემავალი კომპანიები (მაგ. ფარმაცევტული (საცალო ვაჭრობა) და სამედიცინო მომსახურება, სასმელები, წყალმომარაგება, განახლებადი ენერგია, უძრავი ქონების განვითარება და დაზღვევა) შეესაბამება ეროვნულ გარემოსდაცვით და სოციალურ კანონებს. GCAP-ის მოთხოვნის თანახმად, პორტფელში შემავალ თითოეულ კომპანიას უნდა ჰქონდეს ES რისკების მართვის პროცედურები, მდგრადობასთან მიმართებით მათი ვალდებულებების შესაბამისად.

GCAP ასევე აკონტროლებს ES-ის შესრულებას და ასახავს ინფორმაციას მდგრადობის შესახებ ანგარიშში. „საქართველოს კაპიტალს“ (GCAP) აქვს წერილობითი ინსტრუქციები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა გარემოსდაცვითი და სოციალური (ES) პოლიტიკა, დარღვევებთან დაკავშირებით ინფორმირების პოლიტიკა, დივერსიფიკაციის პოლიტიკა, ქცევის და ეთიკის კოდექსი, პასუხისმგებელი ინვესტირების პოლიტიკა და ა.შ.

მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების (SLB) შემუშავებული

ჩარჩო, შესრულების ძირითად მაჩვენებელთან (KPI) და SPT-სთან ერთად, შემოწმებული იქნა გარედან Sustainalytics-ის მიერ (2023 წლის აპრილი), რომელმაც წარმოადგინა მეორე მხარის დასკვნა (SPO). პორტფელში შემავალი კომპანიის დონეზე, განახლებადი ენერგიის ბიზნესმა წარმატებით განათავსა მწვანე ობლიგაციები ადგილობრივ ბაზარზე, რისთვისაც მეორე მხარემ (SPO) წარადგინა ეკოლოგიური, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების (ESG) კვლევის და ანალიზის შედეგები. ემიტენტი წარადგენს AESR ანგარიშებს, რომელიც შეიცავს განახლებულ ინფორმაციას მისი მუშაობის შესახებ სათბურის გაზების შემცირების მიმართულებით.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ არის გათვალისწინებული

დამატებითი ფასეულობა

EBRD-ი მხარს უჭერს ინოვაციური მწვანე საფინანსო ინსტრუმენტის დანერგვას, რომელიც შეესაბამება მთელ მსოფლიოში აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მანამდე არ გამოუყენებიათ. წარმატებული ემისია საშუალებას მისცემს „საქართველოს კაპიტალს“ (GCAP) განამტკიცოს თავისი მზაობა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მაღალი სტანდარტების მიღწევის კუთხით, და ასევე გაზრდის ESG-ის შესახებ ინფორმირებულობის დონეს და სხვა ადგილობრივი კორპორაციების ამბიციებს, რომლებიც ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

EBRD-ი ასევე ხელს შეუწყობს საქართველოში უმსხვილესი კორპორაციული ობლიგაციების გამოშვებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შიდა საფონდო ბირჟის მოცულობას. ეს ეფუძნება EBRD-ის მხრიდან მუდმივ მხარდაჭერას საქართველოში კაპიტალის ადგილობრივი ბაზრების განვითარებასთან მიმართებაში, ადგილობრივი კორპორაციებისთვის საბანკო დაფინანსების ეფექტიანი ალტერნატივის შექმნის მიზნით.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი ალფაიძე
giorgi.alpaidze@gcap.ge
+995 322005000
https://georgiacapital.ge/
პეტრე მელიქიშვილის ქ 8ა / ტატიშვილის ქ 1, თბილისი, 0179, საქართველო

შუალედური შედეგი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები

დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.